პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 84 (994) | კვირა, 14 ოქტომბერი, 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

საერთაშორისო შეხვედრები

10 ოქტომბერს სტამბოლში მოსკოვის „დინამო" განმეორებით მატჩში შეხვდა „ფენერბახჩეს" გუნდს. ამჯერად დედაქალაქის სპორტსმენები უკეთ თამაშობდნენ, მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ოთხი ბურთი, საკუთარში კი არც ერთი არ მიუღიათ.

12 ოქტომბერს ბულგარეთის ქალაქ დიმიტროვოში თბილისის „დინამომ" ითამაშა ადგილობრივ „მინიორთან" („მეშახტე") შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

გუშინ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები გამოემგზავრნენ ბულგარეთიდან. 16 ოქტომბერს ისინი თბილისში შეხვდებიან ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" გუნდს.

„ბურევესტნიკში" უძლიერესი

მოსკოვში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა კოლექტივი, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო — თასი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველი სპორტსმენები. ლენინგრადელმა მოჭიდავეებმა დაიკავეს მესამე ადგილი.

პირად პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიდან წონითი კატეგორიების მიხედვით საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ: ლ. კაციაშვილი, ზ. ჩიქვილაძე, ზ. მუხიაშვილი და თ. ელერდაშვილი.

პირველი საერთაშორისო

9 ოქტომბერს მოსკოვში ხელოვნურ საციგურაოზე ჩატარდა ამ საციგურაოსათვის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება შაიბიან ჰოკეიში. თამაშობდა არმიელთა ორი გუნდი — პოლონეთის ექვსგზის ჩემპიონი ცვკს და მოსკოვის ჰოკეისტები.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

შესვენების შემდეგ მოსკოველებმა კიდევ სამი შაიბა გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, თავისაში კი ერთი მიიღეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:1.



დიდი ტურნირი

9 ოქტომბერს მოსკოვში პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ა. ალიოხინის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე შედგა 1 ტური. ყველაზე ადრე დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონის ბოტვინიკის პარტია ინგლისელ გოლომბეკთან. მსოფლიო ჩემპიონმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის სადებიუტო შეცდომა და დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. 45-ე სვლაზე პაიკის დაკარგვის შემდეგ გოლომბეკი დანებდა.

გროსმაისტერმა პახმანმა პაიკის შეწირვით ძლიერი იერიში მიიტანა პოლონეთის ჩემპიონის სლივას პოზიციაზე. ფიგურის მოგებით პახმანმა 29-ე სვლაზე გაიმარჯვა. ტაიმანოვმა მოუგო ბრონშტეინს, შტალბერგმა — ჩოკილტიას, ხოლო უნციკერ-პადევსკისა და გლიგორიჩ-სმისლოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

II ტურში ყურადღების ცენტრში სმისლოვ-ბოტვინიკის პარტია იყო. ეს მათი 43-ე შეხვედრა სიცილიური დაცვით დაიწყო. სმისლოვმა ერთი პასიური სვლით დაკარგა ინიციატივა, რის შემდეგ თამაშის გათანაბრებისათვის დიდი გონებამახვილური ბრძოლა დაჭირდა. ორ დღეს გრძელდებოდა ეს პარტია და ბოლოს ყაიმით დამთავრდა. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ბრონშტეინმა სლივასთან პარტიაში. მან ფიგურების შეწირვით დაამსხვრია მოწინააღმდეგის მეფის ფლანგი. გლიგორიჩმა მოხდენილი მანევრებით შეუტია ჩოკილტიას. 31-ე სვლაზე რუმინელი ოსტატი დანებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პადევსკიმ ტაიმანოვის წინააღმდეგ ნაკლებად შესწავლილი თამაშის სისტემა გამოიყენა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მაინც შეძლო უპირატესობის მიღება. ძლიერი თამაშით ტაიმანოვმა გაიმარჯვა.

გადადებული პარტიების განხილვისას ნაიდორფმა მოუგო უნციკერს, ხოლო საბომ — კერესს. ყაიმზე შეთანხმდნენ კერეს-ულმანი და ნაიდორფი-საბო.

მესამე ტურში მეტად ეფექტური გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა სმისლოვმა, რომელიც შავებით ეთამაშებოდა ულმანს. გერმანელმა ოსტატმა დასაწყისშივე დაუშვა სერიოზული შეცდომა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა სმისლოვმა და ხელთ იგდო ინიციატივა. უკვე მე-19 სვლაზე ულმანმა თავი დამარცხებულად ცნო. ბოტვინიკმა მოუგო ჩოკილტიას, რომელმაც უკვე მესამე დამარცხება განიცადა. ასევე მესამე პარტია წააგო სლივამ, რომელიც ამჯერად დამარცხდა პადევსკისთან. კერესმა კარგი სტილით მოუგო გოლომბეკს, ხოლო ტაიმანოვმა — ნაიდორფს.

* * *

სურათზე: ა. ალიოხინის სახელობის ტურნირის მონაწილენი. მარცხნიდან — არგენტინელი მ. ნაიდორფი და მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი.

ფართო გზა თვითმოქმედებას

ვის არ მიუღია მონაწილეობა სკოლის, საწარმოს ან კოლმეურნეობის მხატვრული თვითმოქმედების წრეებში. აქ ხომ ყველაფერი თვით წრის წევრების ინიციატივითა და ძალებით კეთდება. გადაწყვეტენ ახალგაზრდები რაიმე პიესის დადგმას, გამოჩნდება რეჟისორიც, მსახიობებიც და გაიშლება მუშაობა. საკუთარი ძალებით მზადდება დეკორაციები, სცენის მოწყობილობა მოაქვთ სახლიდან, იწერება ლამაზად გაფორმებული აფიშები და... სულ რამდენიმე კვირაში სცენაზე მიდის სპექტაკლი — კოლექტიური, თვითმოქმედებითი შრომის ნაყოფი, რომელიც დაუვიწყარია როგორც მონაწილესათვის, ისე მაყურებლისათვის. თვითმოქმედების ფართოდ დანერგვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას, ხალხური სიმღერებისა და ცეკვების აღდგენას, დახვეწასა და გავრცელებას.

თვითმოქმედებამ ფიზკულტურაშიც მოიკიდა ფეხი, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი საქმიანობის ეს კეთილშობილური ფორმა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დანერგილი. რამდენჯერ გაგვიგონია ფიზკულტურის ინსტრუქტორის ან ძირეული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის წუწუნი: „ფული არა გვაქვს, ამიტომ ვერ ვატარებთ ღონისძიებებს, საშუალება არა გვაქვს მოვიწვიოთ მსაჯები, მოვამზადოთ ან მოვაწყოთ მოედნები.

რატომ უნდა ხდებოდეს ასე? რატომ უნდა ვუცდიდეთ რომელიღაც „ბიძიას" დახმარებას, წყალობას ზევიდან, როდესაც ჩვენი საკუთარი ძალებითა და რესურსებით შეგვიძლია გავაკეთოთ ეს საქმე. რატომ უნდა მოვითხოვდეთ „თანხებს" ამხანაგური შეჯიბრების მოწყობისათვის მეზობელ საწარმოსთან, კოლმეურნეობასთან, სკოლასთან, უმაღლეს სასწავლებელთან. ჩვენ გვგონია, იმისათვის, რომ ორი მეზობელი ობიექტის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ერთმანეთს შეხვდეს ამხანაგურ მატჩში (სპორტის რომელიმე სახეობაში) არავითარი „თანხა" არ არის საჭირო. აქ უნდა გამოვიყენოთ სწორედ თვითმოქმედება, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში თვითმოქმედება, რომ ღრმად იყოს დანერგილი, მაშინ ამ საქმის მოგვარება ოდნავადაც არ გაგვიჭირდება, მაშინ მივიღებთ თუ არა თანხმობას შეჯიბრებაზე (სპორტის რომელიმე სახეობაში) მეზობელ ობიექტიდან, აქტივის დახმარებით ადვილად მოვიყვანთ წესრიგში ბაზებს. თუ თითონ ობიექტზე არ მოინახება მხატვარი, რომელიც პლაკატებით, ლოზუნგებით გააფორმებს მოედანს, დაწერს აფიშას, რომელიმე ფიზკულტურელს მაინც ეყოლება ამხანაგი, რომელიც სიამოვნებით გაუწევს დახმარებას კოლექტივს. მაგრამ მსაჯები? ხომ უნდა მოვიწვიოთ? — იკითხავთ თქვენ.

ყველა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი მოვალეა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებასთან ერთად იზრუნოს საზოგადოებრივი კადრების მომზადებაზე. საზოგადოებრივ კადრებში შედიან მსაჯებიც, რომელთა მომზადებაზე (მოწინავე ფიზკულტურელებისაგან) კოლექტივის საბჭო თავიდანვე უნდა ეზრუნა. ამის შესაძლებლობა კი კოლექტივს ყოველთვის აქვს.

ჩვენ ახლა ვილაპარაკეთ შეჯიბრების მოწყობის საქმეში თვითმოქმედების როლის შესახებ. მაგრამ თვითმოქმედების გამოყენება ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე შეიძლება. ბაზების მოწყობასა და მათ მოვლა-პატრონობაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. სპორტული ბაზა ისევე აუცილებელია საწარმოსათვის, კოლმეურნეობისათვის, სკოლისათვის, როგორც კლუბი. მშრომელთა კულტურული გართობისა და გაჯანსაღების ამ ორ ობიექტზე უნდა სჩქეფდეს თვითმოქმედებითი საქმიანობა, დასვენების საათებსა და კვირა დღეებში ერთი წუთითაც არ უნდა წყდებოდეს სექციების წვრთნა, საღამოს კი საჭირო დაძაბული ბრძოლები გავაჩაღოთ მოედანზე.

კი მაგრამ, — იკითხავს ზოგიერთი, — ძირეული კოლექტივისათვის ხომ გამოყოფილია რაღაც თანხა, თუ ყველაფერს თვითმოქმედების ძალებით გავაკეთებთ, მაშინ ეს თანხა რაში უნდა დაიხარჯოს? რასაკვირველია ყველაფერს თვითმოქმედებით ვერ გავაკეთებთ. არის ისეთი ინვენტარი, რომელთა დამზადება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის ბურთები, ბადე და სხვ. ეს თანხა უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ტრანსპორტის ხარჯებისათვის, შევიძინოთ სამახსოვრო ჯილდოები შიდასაკოლექტივო სპარტაკიადაზე ან ცალკეულ ჩემპიონატებში გამარჯვებულთათვის.

თვითმოქმედების გაშლა დიდად შეგვიწყობს ხელს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობაში, სექციების მეცადინეობას და კოლექტივის მთელ საქმიანობას უფრო ცოცხალს, უნარიანს გახდის. საჭიროა აქტივს დავეყრდნოთ, განვაზოგადოთ და წავახალისოთ მათი ინიციატივა და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ სასურველ მიზანს — ყველა სკოლასთან, უმაღლეს სასწავლებელთან, საწარმოსთან, კოლმეურნეობასთან გვეყოლება მტკიცე, ბრძოლისუნარიანი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის კ. ა. ანდრიანოვის მოხსენება საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში.

სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოს ავსტრალიაში საბჭოთა სპორტული დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს XVI ოლიმპიურ თამაშებში — კალათბურთში, კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდობაში, წყალბურთში, აკადემიურ და საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, საიალქნო სპორტში, ტყვიითა და სასტენდო სროლაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფარიკაობასა და ფეხბურთში.

ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა XVI ოლიმპიური ასპარეზობისათვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების საკითხები.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საბჭოთა სპორტსმენების 1957 წლის საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის გეგმის პროექტი.

პლენუმმა განიხილა ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. ა. ზუბკოვის მოხსენება მოსკოვში 1957 წელს ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სასპორტო ასპარეზობის მოწყობის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებას მოაწყობენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი და სრულიად საკავშირო სასპორტო სექციები მოსკოვში 1957 წლის 29 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული ასპარეზობის მოსამზადებლად და მოსაწყობად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი.

ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველა განხილული საკითხის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებანი მიიღო.

„გრუზია" გაემგზავრა ავსტრალიაში

8 ოქტომბერს ოდესის პორტიდან შორეულ რეისში გაემგზავრა თბომავალი „გრუზია". გემმა ავსტრალიაში წაიყვანა XVI ოლიმპიური თამაშების მონაწილეები, მსაჯთა კოლეგიის წევრები, მწვრთნელები, ექიმები და სხვა მომსახურე პერსონალი.

საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ოდესიდან გაემგზავრნენ, აგრეთვე უნგრელი სპორტსმენები. ბულგარეთის პორტში სტალინში, მათ შემოუერთდებათ ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის ოლიმპიური გუნდების წევრები.

თბომავლის კაპიტანმა ელიზბარ გოგიტიძემ გამგზავრების წინ განაცხადა:

— ეკიპაჟი დიდი მონდომებით ემზადებოდა ამ საპასუხისმგებლო რეისისათვის. განზრახული გვაქვს ავსტრალიაში 25 დღის შემდეგ მისვლა. გზად გვექნება სულ სამი გაჩერება. პორტში — სტალინი (ბულგარეთი), პორტ-საიდში და სუეცში. „გრუზიას" გასავლელი აქვს 10 ათასზე მეტი კილომეტრი. ერთი სიტყვით, შემოდგომიდან, რომელიც დგას ოდესაში, ჩვენ მოვხვდებით გაზაფხულში, რომელიც გველოდება „ოლიმპიურ" ქვეყანაში. უკან სახლში დავბრუნდებით ზამთარში.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან მხოლოდ საიალქნო სპორტის წარმომადგენლები: ქ. ალექსანდროვი, ტ. პინეგინი, ბ. ილინი, ი. შავრინი, ს. მატვეევი.



აილამაზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით

ლენტეხის რაიონის მშრომელთა დიდი სურვილი იყო, ჩვენს რაიონს ჰყოლოდა მთამსვლელთა ჯგუფი. ეს გაითვალისწინა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის ინიციატივით ჩვენს რაიონს მისცა სპორტული საკლასიფიკაციო ჯგუფი და გამოუყო თანხები. ჯგუფის ხელმძღვანელობა დამავალეს მე. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოცდილი მთამსვლელები ს. გუგავა, დ. გუგავა და სხვანი, სულ 10 კაცი.

ჩვენს ამოცანას შეადგენდა პირველი საკლასიფიკაციო ასვლები მოვეხდინა ყარაუღომის პლატოზე განლაგებულ მწვერვალებზე. ჯგუფი შედგებოდა 16 მონაწილისაგან, მათ შორის 4 გოგონა იყო. მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ მთამსვლელები შოვიდან ყარაუღომის პლატოსაკენ გაემართნენ. 7 აგვისტოს საღამოს დავბანაკდით პლატოს ცენტრალური რაიონის პატარა მოედანზე, საიდანაც შეგვეძლო ყოველდღე ახალ მწვერვალებზე ასვლა და ჩამოსვლა.

8 აგვისტოს დავიწყეთ პირველი ლაშქრობა დასავლეთ ყარაუღომის მწვერვალზე. საიერიშოდ წავიდა 10 კაცი. საღამოს 5 საათისათვის მწვერვალი აღებული იყო. ასვლის ყველა მონაწილე თავს კარგად გრძნობდა.

პირველი გამარჯვებით წახალისებულები უფრო მეტი გატაცებით შევუდექით მზადებას მეორე მწვერვალის იერიშისათვის. 9 აგვისტოს წარმატებით ავიღეთ აღმოსავლეთ მწვერვალი. ამ ლაშქრობაში თავი გამოიჩინეს დამწყებმა მთამსვლელებმა ი. მარგველიანმა, ვ. ლიპარტელიანმა, ჯ. ლიპარტელიანმა.

ყველაზე საინტერესო იყო მწვერვალ ვოლოგატზე ლაშქრობა. მოიერიშეთა შორის 4 გოგონა იყო, რომელთაგან განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა ხუტულა გულბიანმა. გოგონები ხ. გულბიანი, ე. გუგავა, ქ. ფულერიანი და რ. ბენდელიანი მონაწილეობდნენ აგრეთვე მწვერვალების ვოლოგატის, სკატოგომის, უილპატისა და „ბურევესტნიკის“ აღებაში. მათ გამოავლინეს ალპინიზმისადმი დიდი სიყვარული და გატაცება. საკვალიფიკაციო ჯგუფმა ყარაუღომის პლატოზე განლაგებულ მწვერვალებიდან წარმატებით დაიპყრო ცხრა მწვერვალი.

შემდეგ ჯგუფი შეუდგა მზადებას აილამას სამხრეთ დასავლეთ კედლის იერიშისათვის. ცენტრალური კავკასიონის მწვერვალთა შორის აილამა (4.535 მ) ტექნიკურად ძნელი დასაძლევია, ამიტომ იყო, რომ დიდხანს ვერ მოხერხდა მისი დაპყრობა, მთამსვლელთა საკავშირო სექციამ აილამაზე სამხრეთ კედლით ასვლაზე კონკურსი გამოაცხადა.

ამ კედელზე ამსვლელ მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობაში ვიყავით გ. გულბანი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ს. გუგავა, დ. გუგავა და ა. ნემსიწვერიძე, ხოლო დამხმარე ჯგუფის შემადგენლობაში — ვ. ლიპარტელიანი, ჯ. ლიპარტელიანი, ი. მარგველიანი და გაბელაშვილი.

24 აგვისტოს დავიწყეთ იერიში, საღამოს ჯგუფი დაბანაკდა 2.800 მეტრის სიმაღლეზე აილამას კედლის ძირში, ყორულდაშის მყინვარზე. საბოლოოდ დავაზუსტეთ ჩვენი სვლიგეზი. პირველი დაბრკოლება შეგვხვდა უნამუსოს ყინვარის გვერდით მდებარე ყინვარზე, ჩამოლესილი კლდის კედელთან, საიდანაც საჭირო გახდა თოკის დაშვება და გადასვლა კედელზე, შემდეგ კი პალოს დასაჭედი კლდის ბზარები აადვილებდა წინსვლას, საღამოს 5 საათისათვის კარავის დასადგმელი პატარა ადგილი მოვაწყეთ და ღამე გავათენეთ 3.500 მეტრის სიმაღლეზე.

მეორე დღეს ამინდი შედარებით გამოკეთდა, მაგრამ დღის 2 საათიდან კვლავ ვაუარესდა. ამის გამო ტექნიკურმა სიძნელეებმაც იმატა, ჩვენ მთლიანად ღრუბლებში ვიყავით გახვეული, თან ქარბუქი იყო. მცირე მანძილის გავლის შემდეგ იძულებული გავხდით მოგვეწყო ღამისთევა გადმოხურულ კლდის ძირში 3.800 მეტრის სიმაღლეზე.

27 აგვისტოს ღრუბელმა ზევით აიწია, ამის გამო გადავწყვიტეთ გზის გაგრძელება. ჩვენს წინ აღიმართა 70-80 გრადუსის დაქანების ყინულის კედელი, ავყევით მას და მივადექით 50 მეტრი სიმაღლის შვეულ კედელს. აქ უნდა გამოგვეყენებინა პალოები. კლდის დაძლევას მთელი დღე მოვანდომეთ. კვლავ კლდეზე გავათენეთ ღამე.

28 აგვისტოს დილით ცუდი ღამისთევისაგან გათოშილებმა განვაგრძეთ ასვლა 75-80 გრადუსი დაქანების ყინულის კედელზე. მინისებური ყინული ახლადმოსულ თოვლს კიდევ უფრო საშიში დასაძლევი გახადა. ამ ყინულზე მორიგეობით გვიხდებოდა საფეხურების ამოჭრა, უკვე საღამოხანი იყო. სიმაღლის მზომი 4.400 მეტრს აჩვენებდა. ამ დღეს მწვერვალზე ასვლა ვერ მოვასწარით.

29 აგვისტო... კვლავ მაღლა მივიწევთ ყინულის კედელზე. სიცივისაგან გათოშილებს გვიჭირს საფეხურების ამოჭრა... კიდევ ერთი შეტევა და ჩვენ მწვერვალზე ვართ. გაყინული ხელებით ვწერთ ბარათს და ვტოვებთ მას აილამაზე—მარადი თოვლის სამეფოში.

გრ. გულბანი,
ექსპედიციის უფროსი.

• • •

სურათებზე: ზევიდან ქვევით —ქ. ფულერიანი, დ. ბენდელიანი, ხ. გულბიანი, ე. გუგავა. მარცხნიდან — გ. გულბანი, დ. გუგავა, ს. გუგავა.

სურათზე: აღმოსავლეთ შხელდის წინა გუშაგი. გადაღებულია უნივერსიტეტის სპორტული ჯგუფის წევრების შ. მირიანაშვილისა და ო. ბერაძის მიერ შხელდაზე ლაშქრობის დროს.

ფესტივალის სახელობის

30 სექტემბერს დილიდანვე ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში შეიკრიბნენ საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალისადმი მიძღვნილი ალპინიადის მონაწილეები. აქედან 120 მთამსვლელი ყაზბეგის რაიონისაკენ გაემგზავრა. საღამოს დარიალის თვალწარმტაც ხეობაში, კლდეკართან გაშალეს ბანაკი. სათანადო მომზადებისა და მეცადინეობათა ჩატარების შემდეგ ბანაკი გადატანილ იქნა ხდის ხეობაში, ე. წ. მარწყვის ჭალაში.

ბანაკის ხელმძღვანელობა (უფროსი გ. მელია) ინსტრუქტორთა ჯგუფის დახმარებით შეუდგა თვითეული მონაწილის მომზადებას მაღალმთიანი ლაშქრობისათვის. გაცხოველებით მიმდინარეობდა სასწავლო მეცადინეობანი ვამოცდილი ინსტრუქტორების დ. სულხანიშვილის, ი. ყავლაშვილის, რ. რუხნოვის, ს. ხაზეიშვილის, ა. ძიძიგურისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

დამწყებ ალპინისტისათვის აუცილებელი საჭირო წესებისა და აკლიმატიზაციის გავლის შემდეგ, გადაწყდა 4 ოქტომბერს მოწყობილიყო ლაშქრობა მწვერვალ ყუროზე. დილით ალპინიადის 106 მონაწილე საიერიშოდ გაემართა. გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. შუადღისათვის ალპინიადის მონაწილეთა პირველი ჯგუფი უკვე მწვერვალზე იყო. მას მოყვნენ დანარჩენებიც.

ბანაკში დაბრუნების შემდეგ იერიშის მონაწილენი კარვების წინ გაჩაღებულ კოცონთან გვიან ღამემდე ისხდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ გავლილი დღის მდიდარ შთაბეჭდილებებს.

ყუროზე იერიშის შემდეგ მთამსვლელთა ყურადღება მიიპყრო სხვა მწვერვალებმა. 3 ოქტომბერს რუსთაველის, წერეთლისა და ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალების დასაპყრობად გაემართნენ ახალგაზრდა ალპინისტები ჯ. ონოფრიშვილი, ბ. გოზალიშვილი, ს. ელიავა, დ. დანგაძე, ლ. მერაბიშვილი და ლ. კაჭკაჭიშვილი. მეორე დღეს მათ წარმატებით შეასრულეს ამოცანა.

სასწავლო-საწვრთნელ მუშაობასთან ერთად ალპინიადის ერთი ჯგუფი გაცხოველებით ემზადებოდა ახალი ლაშქრობისათვის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე. ობიექტი შეირჩა. 6 ოქტომბერს 31 ახალგაზრდა ალპინისტი, რომელთა შორის 2 ქალი იყო — ც. ხარიაშვილი და ც. ხეცურიანი, გაუდგა გზას უსახელო მწვერვალისაკენ. მეორე დღეს ისინი 5 ჯგუფად დაიძრნენ მწვერვალის საიერიშოდ. ციცაბო ნაპრალები და კლდეები სერიოზულ დაბრკოლებებს წარმოადგენდა, მაგრამ ჯგუფები მაინც შეუპოვრად მიიწევდნენ წინ. შუადღისათვის ჯგუფი მწვერვალზე იმყოფებოდა. აქ გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომლის მონაწილეებმა დაპყრობილ მწვერვალს საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის სახელი უწოდეს.

როცა ამ მწვერვალზე ავიდნენ, მთამსვლელებმა შეამჩნიეს, რომ მათ მიერ დაპყრობილი იყო მწვერვალის მხოლოდ ერთი კონუსი სამიდან. ალპინისტებმა გადაწყვიტეს დანარჩენი ორის დამორჩილებაც და ბევრი სიძნელის გადალახვის შემდეგ გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს.

დ. კინწურაშვილი

ევერესტზე

კატმანდუდან (ნეპალის დედაქალაქი) ევროპაში მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჰიმალაიში მყოფმა შვეიცარიის ალპინისტთა ექსპედიციამ ორჯერ დაიპყრო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი (8.880 მ). შვეიცარელები ავიდნენ აგრეთვე ლხო-ტზეს (8.560 მ) მწვერვალზე, რომელზეც ადამიანს ფეხი ჯერ არ დაუდგამს.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა, 43 წლის ალბერტ ეგერმა ასვლისათვის აირჩია „სამხრეთ უნაგირა“, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან სამხრეთ ევერესტს და ლხო-ტზეს. 7.900 მეტრის სიმაღლეზე მოთავსებულ საიერიშო ბანაკიდან შეუტიეს მთამსვლელებმა მწვერვალს.

... 18 მაისს „უნაგირადან“ გავიდა პირველი წყვილი — ერნსტ რესი და ფრიც ლუხსინგერი. ექვსსაათიანი შტურმის შემდეგ მათ მიაღწიეს ლხო-ტზეს მწვერვალს. უნდა ითქვას, რომ ერთი კვირით ადრე ლუხსინგერს ჰქონდა ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევა და ექსპედიციის წევრები ფიქრობდნენ მის უკან გამოგზავნას.

23 მაისს ევერესტზე სამხრეთის მწვერვალის მხრიდან ავიდნენ ერნსტ შმიდტი და მარმელი. მეორე დღეს იგივეს გამეორება სცადეს ადოლფ რეისტმა და ჰანსრუდოლფ გუნტერმა. მათი ცდაც წარმატებით დაგვირგვინდა.

ეს გამარჯვება აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი პირველი ასვლა იყო რვაათასიანზე შერპების მონაწილეობის გარეშე. ყველა სხვა დანარჩენ ექსპედიციებს ჰიმალაიზე დამხმარედ შერპები მიჰყავდათ. ევერესტის პირველმა დამპყრობმა ტენსინგმა შვეიცარელ ალპინისტებს მოსალოცი დეპეშა გაუგზავნა.

სერ ედმუნდ ჰილარმა თენსინგთან ერთად ევერესტზე პირველმა ამსვლელმა, შვეიცარელების წარმატებას თავისებური რეკორდი უწოდა, რომლის გაუმჯობესება თითქმის შეუძლებელია.

ფეხბურთი

ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 14 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	20	13	4	3	61:25	30
„დინამო“ მ.	21	10	8	3	44:24	28
ცდსა	21	10	5	6	40:29	25
„დინამო“ კ.	20	7	10	3	28:22	2[illegible]
„ბურევ“.	22	9	5	8	38:49	23
„ტორპედო“	21	7	7	7	38:36	21
„შახტიორი“	20	6	7	7	28:37	19
„დინამო“ თბ.	20	7	4	9	38:41	18
„ზენიტი“	21	3	11	7	22:42	17
„ლოკომოტ“.	20	4	8	8	31:26	16
ოფ. სახლი სვ.	21	5	4	12	25:40	14
„შრ. რეზერ“.	21	3	7	11	24:45	13

• • •

10 აგვისტოს გაიმართა 2 მატჩი. მოსკოვის „ტორპედომ“ თავის მოედანზე მიიღო ლენინგრადის „ზენიტი“. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 3:1.

• • •

კიევის „დინამო“ შეხვდა ცდსა-ს. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს უკრაინელმა ფეხბურთელებმა.

ფეხბურთი

ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი	29	21	5	3	70:16	47
ოფ. სახლი თბილისი	28	19	7	2	82:23	45
„სპარტაკი“ ერევანი	28	15	9	4	57:17	39
„ნეფტიანიკი“ კრასნოდარი	29	15	4	10	62:47	34
„ზენიტი“ იჟევსკი	28	11	12	5	46:38	34
„ტორპედო“ გორკი	28	13	6	9	43:35	32
„ნეფტიანიკი“ ბაქო	28	13	5	10	57:43	31
ქ. ვორონეჟი	29	10	11	8	31:31	31
„ტორპედო“ სტალინგრადი	29	11	6	12	40:43	28
„პახტაკორი“ ტაშკენტი	25	10	6	9	30:31	26
„ავანგარდი“ სვერდლოვსკი	28	9	10	9	34:37	28
„ავანგარდი“ ჩელიაბინსკი	28	10	7	11	28:30	27
ქ. მოლოტოვი	28	11	5	12	25:30	27
„ტორპედო“ როსტოვი	27	8	6	13	41:39	22
„კაირატი“ ალმა-ატა	29	7	7	15	31:48	21
„სპარტაკი“ ფრუნზე	29	4	8	17	21:65	16
„კოლხოზჩი“ აშხაბადი	29	4	5	20	23:66	13
„კოლხოზჩი“ სტალინაბადი	28	1	5	22	18:98	7

მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოცურავეს ტუმპეკს (უნგრეთი) გამარჯვებას ულოცავენ მეუღლე და შვილი. მარჯვნივ—პოპულარული უნგრელი მოკრივე ლასლო პაპი.

იმიერკარპატებში, მდინარე ტისის სათავეებთან გადაშლილია მაღაროელთა დაბა, რომელსაც სოლოტვინას უწოდებენ. აქ განსაკუთრებით კარგად იცნობენ იოსებ კოვაჩის ბრიგადას, რომელიც მთლიანად ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. კოვაჩის ბრიგადა ყოველდღიურად „მშვიდობის ვახტზე“ დგას და საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ამას წინათ აქ სტუმრად მოვიდნენ უნგრელი სპორტსმენი-მაღაროელები, რომლებსაც სოლოტვინელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

დელეგაციის ხელმძღვანელმა იმრე პეპმა საბჭოთა მეგობრებს გაუზიარა მიღებული შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.

— პატარა მუშათა დაბაში, — თქვა მან,— ფეხბურთელებთან ერთად ჩვენ შევხვდით მძლეოსნებს, ფრენბურთელებსა და ჩოგბურთელებს. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. აქ ასობით მაღაროელი ჩაბმულია სპორტში, რომელიც მათ ფიზიკურ შრომას უადვილებს. სასიხარულოდ მიგვაჩნია ის, რომ საბადოების სპარტაკიადაზე 800 ფიზკულტურული მონაწილეობდა. ჩვენ ბევრი რამ კარგი და სასარგებლო შევიძინეთ სოლოტვინელებისაგან. რაც მთავარია, შევიძინეთ შესანიშნავი მეგობრები. მოვიწვიეთ საბჭოთა მაღაროელები ჩვენს სამშობლოში, განზრახული გვაქვს რეგულარულად ჩავატაროთ ამხანაგური შეხვედრები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ჩოგბურთში.



უნგრეთი ოლიმპიადის მზადების დღეებში

ბენედეკზე კვლავ ილაპარაკებენ

ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც უნგრელების გარდა ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის საუკეთესო თანამედროვე ხუთჭიდელები მონაწილეობდნენ, იყო ძალების თავისებური შემოწმება ოლიმპიური თამაშების წინ.

შეჯიბრება აღინიშნა უნგრელი სპორტსმენების აშკარა უპირატესობით, რომლებმაც ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავეს. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა უნგრეთის წარმომადგენელს გაბორ ბენედეკს.

1952 წელს, ჰელსინკში ბენედეკი უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მომდევნო წელს ჩილში მსოფლიო პირველობაზე ბენედეკმა პირველი ადგილი დაიკავა. 1954 წელს მან მოულოდნელად დაიზიანა მხარი და ვარჯიშის განახლება ბუდაპეშტის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ბენედეკმა პირად ჩათვლაში ვერ აჩვენა მაღალი შედეგი, თავისი გამოცდილებით ხელი შეუწყო გუნდის გამარჯვებას. 1955 წელიც საბედისწერო გამოდგა ბენედეკისათვის. ვარჯიშის დროს სპორტსმენმა დაიზიანა ფეხი. რის გამოც მთელი სეზონი შეჯიბრების გარეშე დარჩა. მაგრამ ახლა?

— ბენედეკი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია, — განაცხადა ბუდაპეშტის ტურნირის დამთავრების შემდეგ შვეიცარიის გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა ხუთჭიდელმა ვერნერ ფეტერლემ, — იგი ამჟამად უკეთ გამოიყურება, ვიდრე უწინ. ჩემი აზრით მას ყველაზე კარგი შანსი აქვს გახდეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ხუთჭიდში...

ბენედეკსაც სწამს, რომ მას ჯერ კიდევ არ უთქვამს სპორტში უკანასკნელი სიტყვა. იგი ღიმილით და ოდნავ ხუმრობის კილოთი იმეორებს ხშირად:

— მივაღწევ იმას, რომ ჩემზე ყველა ილაპარაკონ!

რამდენად სწორია შვეიცარიელისა და თვითონ ბენედეკის მტკიცება, ამას სულ მალე გვიჩვენებს მელბურნის ოლიმპიური თამაშები.

მელბურნში მიდის 125 სპორტსმენი

როგორც უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტი იუწყება, უნგრეთი მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, სროლაში, კრივში, ხუთჭიდში, ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, ფარიკაობასა და შეიძლება ფეხბურთში. უნგრეთის სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში სულ 150-160 კაცია, მათ შორის 125 სპორტსმენი და 30-35 ხელმძღვანელი, მწვრთნელები და ა. შ. სპორტსმენების კვებით უზრუნველყოფის მიზნით უნგრეთის დელეგაციას თან წაიყვანს საკუთარ მზარეულს.

◆ ◆

რომელ მანძილზე გამოვა შანდორ იხაროში?

ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების გამო, წელს უნგრეთის მძლეოსანთა ჩემპიონატი ვადაზე ადრე დაიწყო. სწორედ ამიტომ პირველობაში მონაწილეთა უმრავლესობამ ვერ აჩვენა მაღალი შედეგი. ამის მიუხედავად შეჯიბრებაზე რამდენიმე სპორტსმენმა მსოფლიო კლასის ოსტატობა გამოამჟღავნა. მათ რიცხვს პირველ რიგში ეკუთვნის ცნობილი სტაიერი შანდორ იხაროში, რომელიც 10.000 მეტრსა და 6 მილზე რბენაში მონაწილეობდა.

შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე სტადიონზე თავმოყრილი 50.000 მაყურებელი გულთბილად მიესალმა სახელოვან მძლეოსანს, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომისიის წევრმა ფერენც მეზემ გადასცა ჰელმსის სახელობის მედალი. ეს ჯილდო იხაროშმა დაიმსახურა, როგორც ევროპის საუკეთესო მძლეოსანმა. ხოლო ერთი საათის შემდეგ, მან უკვე პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ იგი იყო ამ ჯილდოს ღირსი...

იხაროშმა თავისი სპორტული მოღვაწეობის მანძილზე მხოლოდ მეორედ აიღო სტარტი 10.000 მეტრზე რბენაში. პირველად ამ დისტანციაზე იხაროში ერთ-ერთ პერიფერიულ შეჯიბრებაზე გამოვიდა და აჩვენა საკმაოდ დაბალი შედეგი — 33.04,4. მეორე ცდა (უნგრეთის პირველობაზე) იმდენად ბრწყინვალე გამოდგა, რომ გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. ფინიშის შემდეგ წამმზომებმა აჩვენეს ახალი მსოფლიო რეკორდი (28.42,8), რომელიც 11-ზე მეტი წამით აღემატებოდა ზატოპეკის შესანიშნავ მიღწევას (28.54,2). იხაროშმა გააუმჯობესა აგრეთვე ავსტრალიელ სტეფენსის მსოფლიო რეკორდი 6 მილზე რბენაში. ასე, რომ ლეგენდარული ნურმის (ფინელი სტაიერი) შემდეგ იხაროში გადაიქცა პირველ მძლეოსნად, რომელმაც 1.500-დან 10.000 მეტრამდე რბენაში ყველა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება შეძლო.

ამ ბრწყინვალე წარმატების შემდეგ უნგრეთისა და უცხოეთის სპეციალისტებს ბუნებრივია დაებადათ კითხვა: რომელ დისტანციაზე გამოვა იხაროში მელბურნში? პასუხი ამაზე გასცა სპორტსმენის მწვრთნელმა მიხაი იგლოიმ:

— ყოველ მძლეოსანს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში, წინასწარ აქვს გადაწყვეტილი, რომელ დისტანციაზე აქვს გამარჯვების მეტი შანსი. იხაროშმა ამჯერად დაამტკიცა, რომ მართალია, სასურველი დისტანცია მისთვის 1.500 მეტრია, მაგრამ წარმატებით შეუძლია გამოსვლა 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაშიც, თუ რაიმე ტრავმამ არ შეუშალა შანდორს ხელი მე ვფიქრობ, რომ იგი გამოვა სამივე დისტანციაზე.

რბენის დამთავრების შემდეგ იხაროში თავს ჩინებულად გრძნობდა. მან კორესპონდენტებს განუცხადა:

— ამ შეჯიბრებით დავრწმუნდი, რომ სტაიერისათვის საჭირო გამძლეობა მაქვს. ახლა მთავარია გავაუმჯობესო რბენის სისწრაფე. პირველობის შემდეგ დიდი შეჯიბრებები თითქმის აღარაა და მე საშუალება მექნება ენერგიულად მოვკიდო ხელი წვრთნას. ვფიქრობ სულ მალე მივაღწევ მაღალ მაჩვენებელს 1.500 მეტრზე რბენაშიც.

იხაროშის მსოფლიო რეკორდმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზღვარგარეთ და არ არის გასაკვირი, რომ მასზე პირველად ალაპარაკდა სამი ოლიმპიური მედლის მფლობელი, ჩეხი ემილ ზატოპეკი.

— მთელი გულით ვულოცავ გამარჯვებას იხაროშს, — განაცხადა მან, — მიუხედავად იმისა, რომ მან მე წამართვა მსოფლიო რეკორდი. შანდორის მიღწევა შესანიშნავია იმითაც, რომ იგი მოპოვებულ იქნა არახელსაყრელ პირობებში, მაშინ როდესაც სპორტსმენები ჯერ კიდევ არ იყვნენ შესული სრულ ფორმაში. ვფიქრობ, რომ იხაროში შეძლებს 28.20,0 ჩვენებას 10.000 მეტრზე რბენაში.

სპორტულ ჭიდილში რაიმე უტყუარი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, მითუმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს გამოჩენილ სპორტსმენთა მთელ ჯგუფთან. სტაიერების სამყაროში კი ასეთები საკმაოდ ბევრნი არიან: ვლადიმერ კუცი, გორდონ პირი, ქრისტოფერ ჩატაუეი, ლასლო ტაბორი და სხვები. და აი, ერთ-ერთმა მათგანმა საბჭოთა სტაიერმა ვლადიმერ კუცმა ამას წინათ საგრძნობლად გააუმჯობესა იხაროშის უკანასკნელი რეკორდი 10.000 მეტრზე რბენაში და აჩვენა — 28.30,4. მაგრამ არც ეს არის ბრძოლის უკანასკნელი ეტაპი. ვინ იცის რამდენ სიურპრიზებს უმზადებს სპორტულ სამყაროს მელბურნის ოლიმპიური თამაშები?

ლ. კვინტრაძე

1.944.000 ეგზემპლარი

წარმატება, რასაც მიაღწია უკანასკნელ ხანებში უნგრეთის სპორტმა, სპორტული ლიტერატურის გამოცემის მნიშვნელოვანი ზრდითაცაა გამოწვეული.

1951 წლიდან უნგრეთში არსებობს სპორტული ლიტერატურის გამომცემლობა, რომელიც დაკავებულია მხოლოდმხოლოდ სპეციალური წიგნების, ბროშურებისა და სპორტული გაზეთების გამოშვებით. თავისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე გამომცემლობამ გამოუშვა 440-მდე წიგნი და ბროშურა საერთო ტირაჟით 1.944.000 ეგზემპლარი. წიგნები და ბროშურები მოიცავენ სპორტული ცხოვრების თითქმის ყველა უბანს. მათ შორის რეგულარულად გამოდის სპორტის სახეობათა წესები, თეორიული და პრაქტიკული ლიტერატურა. მასობრივი ტირაჟითაა გამოსული აგრეთვე ბროშურები სპორტის ისტორიისა და ფიზიკური კულტურის თეორიის საკითხების შესახებ.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტულ სამყაროში გუსტავ შებეშის წიგნი „უნგრეთის ფეხბურთი“, და ბელა რაიკის ნაშრომი „ცურვის ტექნიკა“. წიგნების ავტორთა შორის ხშირად ვხვდებით ისეთი გამოჩენილი სპორტსმენების გვარებს, როგორებიც არიან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტანვარჯიშში აგნეშ კელეტი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში ფერენც შიდო და სხვ. პირველმა გამოაქვეყნა წიგნი მხატვრული ტანვარჯიშის შესახებ, ხოლო მეორემ—განაზოგადა მაგიდის ჩოგბურთში წვრთნის პრინციპები.

სპორტული ლიტერატურის გამომცემლობას 1956 წელს განზრახული აქვს 38 წიგნის გამოშვება, რომელთა შორის ბევრს მოუთმენლად ელის მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა.

ცურვა, მძლეოსნობა

◆

ინგლისისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრა

◆

სექტემბრის ბოლოს ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე გაიმართა ინგლისისა და უნგრეთის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა. ვაჟთა შეჯიბრება მოიგო უნგრეთის გუნდმა — 108:104, ხოლო ქალთა — ინგლისმა — 70:43.

პირველი დღის შეჯიბრების ყურადღების ცენტრში იყო სპორტსმენთა გამოსვლა 5.000 მეტრზე რბენაში. გამარჯვება საკმაოდ მაღალი შედეგით მოიპოვა ინგლისელმა ჩატაუეიმ — 13.59,6. ფინიშთან მეორე იყო ინგლისელი მძლეოსანი იბოტსონი, ხოლო მესამე — იხაროში (უნგრეთი). დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეჯიბრება 1.500 მეტრზე რბენაში. გაიმარჯვა როჟეველდიმ (უნგრეთი) — 3.42,0. უნგრელი ტაბორი მეორე ადგილზე იყო. ინგლისის ქალთა ნაკრებმა ამანათრბენში 4×100 აჩვენა დრო 45,2. 10.000-მეტრიან დისტანციაზე უნგრელებმა ახალგაზრდა სპორტსმენები გამოიყვანეს. პირველი ადგილი წილად ხვდა ინგლისელ ნორისს.

შეჯიბრების მეორე დღეს უნგრელმა ჩერმაკმა დაამყარა ახალი ევროპული რეკორდი უროს ტყორცნაში—62 მ 69 სმ პოლმა (ინგლისი). მოიგო ქალთა რბენა 200 მეტრზე საკმაოდ მაღალი შედეგით — 23,7. ყოფილმა მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ტელმა ჰოპკინსმა (ინგლისი) შედეგით 170 სმ პირველი ადგილი დაიკავა. ბადროს ტყორცნაში (ქალთა შორის) უძლიერესი იყო ინგლისელი ოლადეი — 46 მ 50 სმ. როგორც მოსალოდნელი იყო 80 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილი დიარმატიმ (უნგრეთი) არავის დაუთმო. მისი შედეგია — 11,2. თარჯრბენი 400 მეტრზე მოიგო ინგლისელმა შოუმ — 51,7.

ამავე დღეებში ლონდონში გაიმართა ინგლისისა და უნგრეთის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა.

17 წლის ინგლისელმა გორდონმა ედვარდსმა 100 იარდზე (91,4 მეტრი) ზურგზე ცურვაში დაამყარა ახალი ევროპული რეკორდი—1.05,8. ამას გარდა ინგლისელებმა შეძლეს კიდევ ერთი დისტანციის მოგება. ეს იყო ნებისმიერი სტილით 100 იარდზე ცურვა, სადაც პირველი ადგილი ევარტმა დაისაკუთრა — 1.01,0. ყველა დანარჩენი დისტანციები მოიგეს უნგრელებმა. შეჯიბრების ტექნიკური შედეგები ასეთია:

ქალები. 100 იარდი ბატერფლაით: — ლეტომერიცკი (უნგრეთი) — 1.06,2, მეკედამი (ინგლისი) — 1.10,0. 100 იარდი ბრასით: სეკეი (უნგრეთი) — 1.14,4, პოული (ლონდონი) — 1.17,2.

ვაჟები. 100 იარდი ზურგზე: მადიარი (უნგრეთი) — 1.03,0, გეივენი (ინგლისი) — 1.04,1. 100 იარდი ბრასით: უტაში (უნგრეთი) — 1.05.7, ლონგვეა (ინგლისი) — 1.10,7. 100 იარდი ბატერფლაით: ტუმპეკი (უნგრეთი) — 56,0, ოვერპელი (ინგლისი) — 1.02,3. 100 იარდი ნებისმიერი სტილით: დობაი (უნგრეთი) — 52,6, ხედი (ინგლისი) — 54,5.

მოცურავეთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გაიმართა ინგლისისა და უნგრეთის წყალბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს უნგრელმა სპორტსმენებმა — 6:2.

ლამაზი, ვაჟკაცური მოჭიდავე

◆



ი. კახელი-ვაჩნაძე

✪

— ნუ გეფიქრება, აჯობებს, შამო ვერელის გაწვრთნილია... — ასე ანუგეშებდნენ თბილისელები ერთმანეთს და გულისფანცქალით მოელოდნენ ახალგაზრდა ირაკლი კახელისა და ირანელი „მთაკაცის“ ახკი-სულეიმანის გამოჩენას სარბიელზე.

ახკი-სულეიმანი გამარჯვებებს ზეიმობდა. მან ზედიზედ დაამარცხა ბ. როსტიაშვილი, მ. ქურხული, შამო ვერელი და ვ. ოდიშვილი. მისი დამქაშები მედიდურად გაიძახოდნენ: აბა, კიდევ ვინა გყავთ, გამოიყვანეთ!... თბილისში ჩამოსული ფალავნები მუშტიდი, ალთი-იაილლა, ყაზბეგ-გარა, ალლარა, ქარაფქონდილა და სხვანი, თუმცა ცალკეულ შეხვედრებს იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ კი ისე მარცხდებოდნენ, რომ ზურგზე აკრული ნახერხი თავის ქვეყნამდე მიჰქონდათ. ახლა კი ახკი-სულეიმანს ფალავნებიდან არავინ გადაურჩა დაუმარცხებელი.

ჭიდაობის მესვეურებს სწორედ ამ დროს მოაგონდათ ირაკლი კახელი, რომელიც სოფლიდან იმ დღეებში ჩამოსულიყო. ირაკლი კახელს (ირაკლი ილას-ძე ვაჩნაძე) თბილისის საზოგადოება კარგად იცნობდა. იგი ჯერ თბილისის ქართულ გიმნაზიაში და შემდეგ II კომერციული სასწავლებელში სწავლობდა. ჭიდაობა მას ბავშვობიდანვე იტაცებდა. სახელოვანი ფალავნის შამო ვერელის სისტემატურმა წვრთნა-დარიგებამ ირაკლის ჭიდაობას მეტი სილამაზე და სიფიცხე შემატა. კისრული, ჩოქელა სარმა, ჩაკეტილი შუა ფეხი (წინ თუ უკან გდებით) და თეძო მისი ფანდების მრავალფეროვან გალერეას ქმნიდნენ. იგი იყო შესანიშნავი ალნაგობის, საუკეთესო ტანმოვარჯიშე, მოცურავე, მოკრივე, მონადირე. ამავე დროს უყვარდა ცეკვა და ექსტაზით უკრავდა დოლს. მისი სკოლის ამხანაგებს კარგად გვახსოვს, რომ ჩვენმა სასიქადულო კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა (რომელიც ქართული გიმნაზიის მასწავლებელიც იყო) ირაკლის რამდენჯერმე დააკვრევინა დოლი თავის ორკესტრში და შემდეგ „აბესალომ და ეთერის“ პირველ დადგმებშიც დოლის პარტია შეასრულებინა.

აი, ეს ირაკლი 1911 წელს (როდესაც იგი 19 წლისა იყო) ოფიციალურ შეჯიბრებაში უკვე თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა. თუმცა ეგრეთწოდებულ „მოყვარულთა“ სიაში არ იყო, მაგრამ იმ დროის პრესაში („სახალხო გაზეთი“, „ტიფლისკი ლისტოკი“) მოთავსებულ ინფორმაციებში ხშირად გვხვდება ცნობები მისი ჭიდაობის შესახებ.

ფრანგული (ახლა კლასიკური) ჭიდაობის ანტრეპრენიორები თვალთმაქცური ჭიდაობის ნიმუშებს ქმნიდნენ, ათასგვარი რეკლამით აჭრელებდნენ ქუჩებსა და გაზეთებს. მაგრამ, როდესაც მაყურებელი მათ ხრიკებს მიუხვდებოდა, შემოსავალი კლებულობდა, მაშინ მოიწვევდნენ ქართულ მოჭიდავეებს და ფრანგულ მოჭიდავეებს ახვედრებდნენ. 1911 წლის ჩემპიონატშიც, რომელსაც ჭიდაობის თეატრალიზების ინიციატორი ლებედევი ხელმძღვანელობდა, შუა სარბიელზე გამოსულმა ქ. ბულმა ყველა გამოიწვია. ირაკლიმ ბულთან ჭიდაობის სურვილი გამოთქვა. ბულმა ირაკლის ეს სურვილი ახალგაზრდულ აღტყინებად ჩათვალა და დამცინავად შეხედა. მაგრამ, როდესაც ირაკლი წრეში გადავიდა და ხალათი გაიხადა, ბული იძულებული გახდა ჩოხა ჩაეცვა... სასტვენი, ხელის ტაცება და ბულის დახეთქება ერთი იყო. მკერდგაშლილი და ყელმოღერებული ირაკლი კი ქანდაკებასავით იდგა და არბიტრის განცხადებას ელოდა. ცირკი ოვაციისგან ზანზარებდა.

ლებედევმა ვამოსავალი მოძებნა: მან ავტორიტეტულად განაცხადა — ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ ვერ შევამჩნიეთ, ხელახლად უნდა იჭიდაოთო. ხალხი აყვირდა, ირაკლის უძახოდნენ — აღარ იჭიდაო, გამოდიო. მაგრამ ის დათანხმდა, კვლავ გაისმა სასტვენის ხმა. ირაკლიმ მეტოქე ისევ სწრაფად შუაკაურით (ჩაკეტილი) უკან გადააგდო და ორივე ბეჭი დაადებინა. ბულმა ის ტემპში გადაატრიალა და ზევიდან მოექცა, მაგრამ უდავო იყო, რომ უწინ ბულის ჩოხამ და ზურგმა იგრძნეს ნახერხი. მაშინ ცირკის ადმინისტრაციამ გამოაცხადა — 500 მანეთს ვდებთ, თუ ირაკლი კიდევ დაეჭიდება ბულს. მაგრამ ირაკლი ხალხმა ხელზე ატაცებული გაიყვანა.

ამის შემდეგ ი. კახელმა დაამარცხა გრ. ნავთლუღელი და ს. ჯაფარიძე, ხოლო 24 აპრილს იგი ფრანგულ ჭიდაობაში დამარცხდა გუბერთან. ამის შესახებ „სახალხო გაზეთის“ № 287 ვკითხულობთ: „კავკასიელი მოჭიდავენი ფრანგულშიაც იღებენ მონაწილეობას და ეს დაუსრულებელ სიცილსა და მხიარულებას იწვევს. ირაკლი კახელისა და გუბერის ჭიდაობა პირველის დამარცხებით დასრულდა. კავკასიურ ჭიდაობაში ბულმა „ჯიბგირი“ მოგვერდით მშვენივრად წააქცია, ქურხულმა კი გარე სარმით დაამარცხა „ჩორნი“.

იმავე 1911 წელს ცირკის ადმინისტრაციამ ტანის სილამაზის კონკურსი გამოაცხადა. შემფასებლად იყო თვით ხალხი, რომელსაც ბილეთთან ერთად ეძლეოდა კონტრამარკა, რაზედაც მაყურებელს უნდა დაეწერა იმისი გვარი, ვისი სხეულიც უფრო მოეწონებოდა. ჩაბნელებული ცირკის გუმბათიდან ჩამოშვებული რეფლექტორი სარბიელის ცენტრს აშუქებდა. აქ ახდენდნენ თავისი სხეულის მოქნილობა-კუნთოვანებისა და მოხდენილობის დემონსტრაციას ბული, პასპეშილი, მალი, კრახუტო, ირ. კახელი და სხვები. „სახალხო გაზეთი“ (№ 291) გვაცნობებს: „დარიგებული ფურცლები მოჰკრიფეს და გამოირკვა, რომ პირველი ჯილდო — დიდი ოქროს მედალი, 234 ხმით ირაკლი კახელს ერგო, მეორე—170 ხმით მალის და მესამე — 138 ხმით — ბულს“, აქვე წერია: „კავკასიურ ჭიდაობაში საუცხოვო სიმარდე გამოიჩინა კახელმა. მისი მოპირდაპირე მალი, წამოდგებოდა თუ არა ფეხზე, მაშინვე კახელის შუა სარმისგან ისევ ძირს ეცემოდა, მაგრამ პირველმა მისი ბეჭები ვერ მიაკრა ხალიჩას. ბოლოს კახელი ულაზღადოდ თვითონ მოხვდა პარტერში. აქ მალიმ წაუჭირა ხელები, მაგრამ ფრანგული ფანდითაც ვერ დააკლო-რა და ჭიდაობა დაუსრულებელი დარჩა“.

დავუბრუნდეთ ირაკლისა და ახკი-სულეიმანის ჭიდაობის ამბავს. როდესაც ირაკლის მომხდარი ამბავი გაიცნეს, ძმები ამირაჯიბებისა, ირაკლი თუხარელისა და დღეს სპორტის დამსახურებული ოსტატის არჩ. ბაქრაძის თქმით, იგი დათანხმებულა, მაგრამ შემდეგ შეფიქრებულა. ჩემს დამარცხებას კი არა ვწუხვარ, მეც რომ წამაქციოს, მაშინ ხომ სულ თავი მოგვეჭრებაო. — უთქვამს მას. როგორც სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ს. ეგნატაშვილმა გადმოგვცა, ჭიდაობის წინ იგი ირაკლის შეხვედრია. „ეს უშიშარი, გულადი ირაკლი, — ამბობს ეგნატაშვილი, — ასე დაღონებული არასოდეს არ მინახავს. არ ვიცოდი საიდან დამეწყო მისი გამხნევება და თვით ირაკლიმ წამოიწყო. — რა ვქნა, ძალიან ლონიერს ამბობენ იმ ახმახ თათარსა და რა მოვუხერხოთ?“... ამაზე გიორგი სიმონის-ძეს უპასუხია: „ნუ ფიქრობ, წარმოიდგინე, რომ გოლიათს კი არა, ვიღაცა მებატიბუტე თათარს ეჭიდავებიო“...

დიდუბეში, ეკლესიასთან მისვლამდე ხელმარცხნივ, ეგრეთწოდებულ „გრიშუას“ ბაღში თავად ციციშვილებს ჰქონდათ საჭიდაო გამართული. იმ ადგილს „კნიაზების კრუგს“ ეძახდნენ. ჭიდაობის დღეს მთელი ახლომახლო მიდამოები ხალხით, ეტლებითა და დროგებით იყო გაჭედილი. მაშინ ოფიციალური მსაჯობა არ იყო—ხალხიდან გამოჰყავდათ ხოლმე პატივსაცემი და სანდო ადამიანები. ამ შეხვედრის დროს მსაჯებად იყვნენ ქართული ჭიდაობის დიდი მოტრფიალენი არბიტრი ვანო („შენ დაუკარი“), მაგიდასთან — პოეტი ბეჩარა, სახელგანთქმული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და ცნობილი იურისტი შალვა მესხიშვილი.

ვახტანგ ცხინვალელი გვიამბობს: „ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ირაკლი შემოტრიალდა და მოპირდაპირეს აფთარივით ეცა. კისერთან ჩაჰკიდა ხელი ჩოხაში, ბეჭზე წამოიღო, მაგრამ სულეიმანი განზრახვას მიუხვდა, წელში გაიმართა, კისრულზე არ მიჰყვა მეტოქეს და პირიქით, ტანი უკან გადაზნიქა. მართალია, ირაკლის ბეჭზე მოკიდების ხერხი გაუბათილდა, მაგრამ მან ეს მდგომარეობა სხვანაირად გამოიყენა: უცებ სარმა გაუკეთა, სულეიმანის ისედაც უკან გადახრილ სხეულს თვითონაც უბიძგა და ორივე ბეჭით ბრაგვანი მოადენინა ძირს. იგრიალეს ირაკლის მომხრეებმა. გამარჯვების ამბავმა მალე გარეთაც გააღწია, იქ მდგართა ყრიამულით მთელი დიდუბე ზანზარებდა“...

ახკი-სულეიმანი არ დაცხრა. იგი, თავისი ამალით, დაჟინებით მოითხოვდა, რომ კიდევ ეჭიდავნათ. „კრუგის“ პატრონებსაც ეს უნდოდათ. ირაკლი დაიყოლიეს. მეორე კვირასაც უფრო მრავალი მაყურებლის თვალწინ, ირაკლიმ მოწინააღმდეგე კვლავ დაანარცხა ბეჭებით. ამის შემდეგ ახკი-სულეიმანი თბილისში არავის უნახავს.

პირველი მსოფლიო ომიდან ირაკლი უვნებელი დაბრუნდა, მაგრამ 1919 წელს თავის სოფელ კოლაკში (გურჯაანის რაიონი) დამფრთხალი ცხენიდან გადმოვარდა, ფეხი უზანგში შერჩა და ცხენმა ათრია. ამის შემდეგ დაავადმყოფდა და 29 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი ლამაზი, ვაჟკაცური ჭიდაობა უსათუოდ დაამშვენებს ქართული ხალხური სპორტის ისტორიის ფურცლებს.

მიხ. ხერხეულიძე

სიახლე სპორტულ ინვენტარში

ფეხბურთელებს ხშირად უხდებათ ახტომა მაღალ ბურთისათვის, მაგალითისათვის აუცილებელია ხტომები ყველა მიმართულებით. სიმაღლეზე ხტომის ტექნიკას კარგად უნდა ფლობდეს კალათბურთელიც. და ა. შ.

ამ თვისების გამოსამუშავებლად მრავალნაირი ხელსაწყო და მეთოდი არსებობს, რომელთა უმეტესობა საბჭოთა გამომგონებლებს ეკუთვნით. მაქსიმალურ სიმაღლეზე ხტომის ჩვევის შემუშავების ხელსაწყოთა რიცხვს წელს შეემატა თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგის, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. იოსელიანის მიერ გამოგონებული და გაუმჯობესებული ახალი იარაღები.

მის მიერ გამოგონებული ინვენტარიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია **დახრილი მოძრავი ჩარჩო ბურთებით.** იარაღის საფუძველს შეადგენს ტრაპეციის ფორმის ჩარჩო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოძრაობს ღერძის ირგვლივ და სიმაღლეზე. ჩარჩოს ქვედა ძელზე მიმაგრებულია კავები, რომლებზეც თამასით დაკიდებულია 8 სანტიმეტრის დიამეტრის 10 ბურთი. ბურთებს შორის სიმაღლეში სხვაობა 5 სანტიმეტრს უდრის. ამ ინვენტარით სიმაღლეზე ხტომაში ერთდროულად შეუძლია ივარჯიშოს სხვადასხვა სიმაღლისა და ხტომის უნარისმქონე 20-25 სპორტსმენს, ხოლო მწვრთნელმა ყველას ადევნოს თვალყური და საჭიროების შემთხვევაში კი შეჯიბრების ელემენტებიც შეიტანოს.

ახტომისა და ბურთზე დარტყმის შემდეგ ჩარჩოზე გაჭიმული ხუთი სიმის დახმარებით ისინი სწრაფად უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას, რაც საშუალებას იძლევა ვარჯიში სწრაფ ტემპში, ერთიმეორეს მიყოლებით მრავალჯერ იქნას გამეორებული. ყოველი სპორტსმენი ვარჯიშობს იმ ბურთზე, რომელიც მისთვისაა მისაწვდომი, ხოლო შემდეგ, როცა მას დაძლევს, ვარჯიში გადაიტანოს მეორეზე ე. ი. 5 სანტიმეტრით უფრო მაღლა დაკიდებულ ბურთზე და ა. შ. ვარჯიშის ასე თანდათანობით გართულება სპორტსმენს საშუალებას აძლევს განივითაროს და გამოიმუშაოს, რაც შეიძლება მაღლა ხტომის უნარი.

თითქმის ამავე მიზანს ემსახურება მეორე ხელსაწყო — **სხვადასხვა სიმაღლის თამასა,** რომელიც ძირითადად ფრენბურთელებისათვისაა. იარაღი შედგება ორი ერთმანეთში ჩამჯდარი მილის ორი ბოძისაგან. მილები ერთმანეთში მოძრაობენ ისე, რომ მათი სიგრძე შეიძლება შეიცვალოს სიმაღლემდე. ბოძების ზედაპირზე ვერტიკალურად მიმაგრებულია რამდენიმე წყვილი გამონაზარდი (თითოეული 5 სმ დაშორებით). მათზე ჰორიზონტალურად დაიდება ბამბუკის ათი თამასა, რომლებიც ხელის შეხებით ვარდება მეტალის საცავებში. ვარჯიშის დროს სპორტსმენი ახტომით ორი ხელით აგდებს თამასას განსაზღვრული სიმაღლიდან, წვრთნა ერთდროულად შეუძლია ორ სპორტსმენს, — ერთს, როგორც თავდამსხმელს, მეორეს

[illegible] თავდამცველის ფუნქციას, რომ
[illegible]
სპორტსმენებს ამოცანა ეძლევათ
მასები ჩამოგდონ ერთიმეორის
ყოლებით სიმაღლის თანდათანო
თი ზრდით.

შეჯიბრება, განსაკუთრებით ფრენ
ბურთსა და გამორბენით სიმაღლ
ხტომაში შეიცავს ახტომის შემ
ჰაერში ყოფნების მომენტს, რაც
ნადაც ფრენბურთში თავდამსხმე
სპორტულ ცრუ მოძრაობის გაკეთე
ერთ მხარეს, ხოლო ბურთის ჩარ
მა მეორე მხარეს, ხოლო გამორბ
ნით სიმაღლეზე მხტომელს თამ
საზე გადალახვის დროს. სწორ
ყოფნების თავისებს გამომუშავებ
უნარის მესამე იარაღი —
ხანების ჩამოსახსნელად.

ეს ინვენტარი, როგორც ზემ
აღწერილი, შედგება ორი ერთ
ნეთში მოძრავი მილების ორი ბ
ძისაგან, რომლებზეც დამაგრე
ლია ღერძი ორი ცალმხრივი და
თა ორმხრივი კავით. მოძრავ მილ
ზე აღნიშნულია სიმაღლის ზუს
შკალა. სპორტსმენი ევლება ახ
მით კავზე ჩამოკიდულ მავთულ
რგოლით დამონტაჟებული სავარჯ
ერთი კავიდან მოხსნას და ძირს
შეებლად მეორეზე გადაიტანოს
ვარჯიშის გართულება შეიძლ
წვრთნის მომენტში სხვადასხვა ბრ
ნების გაკეთებით.

მეოთხე იარაღი, რომელიც
ლოდ გაუმჯობესებული დ.
შედგება დასაშლელი 10 სექ
გან, რომლებიც სიმაღლეზე
ნებიში მდებარეობს ხის ხიდ
სექცია დაფარულია რეზინით,
სპორტსმენის ფეხს იცავს ა
საცან. სექციების დამატებით სიმ
ლის შეცვლა შეიძლება 21 ს
ტიდან 1 მეტრამდე. ინვენტ
ადგილიდან ახტომა ხდება მრა
ჯერ სწრაფ ტემპში.

სპორტსმენი წვრთნის დაწყებ
აწარმოებს იმდენ ახტომას, რამდ
ნიც შეუძლია, შემდეგ იწერება.
დეგ ვარჯიშებზე სპორტსმენ
ლება შესრულებულ ხტომათა განსაზ
რულ რაოდენობა. მოგვიანებით ვარ
შემდეგ კი 2-2-თო გაზრდით მათი
ოდენობა, ხოლო, როცა ნახტომ
რაოდენობა მაქსიმუმს მიაღწ
სიმაღლეს ემატება 10 სანტიმეტ

ყველა ზემოაღნიშნულ გამოგ
ბასა და გაუმჯობესებას მაღალი
ფასება მისცა საბჭოთა კავშირის
ნიშიატივა საზოგადოების არსებობ
სტანდარტული ხელსაწყოების, ს
მისა და საზომების კომიტეტმა, რ
გან მათი გამოყენება ღირ დახმ
ბას გაუწევს სპორტსმენებს სიმაღ
ზე ხტომის, ჰაერში ყოფნის
ზუსტის, ამტანობის, სისწრაფის
მომუშავებაში. საგრძნობლად უფ
რებს როგორც ქვედა, ისე ზედა
დერებს.

დ. იოსელიანის ახალმა იარაღ
მაღალი შეფასება მიიღეს საბჭ
გარეთაც. ჩეხოსლოვაკიაში, უნგრ
ში, პოლონეთსა და სხვა სახელმ
ფოებში უკვე სპორტსმენები ვარ
შობენ ამ იარაღებით.

ახალი იარაღების გამოყენებ
ბევრს მოიგებენ საქართველ
სპორტსმენებიც. ამიტომ კარგი იქ
ბა მძლეოსნობის, რესპუბლიკ
სექცია ამ საქმეს სათანადო ყურ
ღებას მიაქცევდეს.

ო. გელაშვილ



ამას წინათ სოხუმში დამთავრებულ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ფრენბურთულთა პირველობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ქალთა და კაცთა გუნდები.

ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ბათუმის კოლექტივი, სოხუმისა და თბილისის ფრენბურთელებმა დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები.

სოხუმელმა სპორტსმენებმა ვაჟ
ლის აჯობეს ქალთა შეჯიბრების
ბათუმელები მხოლოდ მეორე
გილით დაკმაყოფილდნენ. მეს
ადგილი წილად ხვდათ ფოთ
წარმომადგენლებს.

* * *

სურათზე: შეხვედრის ერთ
მომენტი.

ფოტო და ტექსტი ხ. ქელტკუაშ
და ა. გახარიანის

რედაქტორი ი. უბულავ

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამოშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 07144